2018 წლის 04 აპრილი
N75 ხელშეკრულების
დანართი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის
N75 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დაბა ჩაქვი „10" 04, 2018 წელი

„შემსყიდველი": აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, წარმოდგენილი უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მაია ხაჯიშვილის სახით ერთი მხრივ და „მიმწოდებელი": შ.პ.ს. „რეზო +", წარმოდგენილი დირექტორის რეზო ზოსიძის სახით მეორე მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-13 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის საქონლის ერთეულის ფასის და ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის დღიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების 2.5. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა გაიზარდოს 6 ცალით და ნაცვლად 24 ცალისა განისაზღვროს 30 ცალით. ასევე ამავე პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა გაიზარდოს 6 ცალით და ნაცვლად 24 ცალისა განისაზღვროს 30 ცალით.

2. წინამდებარე შეთანხმების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შედეგად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების 2.5. პუნქტის „ბ" და „გ" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფარდის ორიანი კარნიზის ჩამკეტი დეკორი ფერადი - 30 ცალი;

გ) ფარდის ორიანი კარნიზის სამაგრი- 30 ცალი".

3. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის დღიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების 2.6. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შემცირდეს 1,5 ლარით და ნაცვლად 3 ლარისა განისაზღვროს 1,5 ლარით. ასევე ამავე პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება გაიზარდოს 1 ლარით და ნაცვლად 0,5 ლარისა განისაზღვროს 1,5 ლარით.

4. წინამდებარე შეთანხმების მესამე პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შედეგად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების 2.6. პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ფარდის ორიანი კარნიზის ჩამკეტი დეკორი ფერადი - 1,5 ლარი;

გ) ფარდის ორიანი კარნიზის სამაგრი - 1,5 ლარი".

5. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის დღიდან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების 2.7. პუნქტის გათვალისწინებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შემცირდეს 4 ლარით და ნაცვლად 238 ლარისა განისაზღვროს 234 ლარით.

6. წინამდებარე შეთანხმების მეხუთე პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შედეგად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების 2.7. პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.7 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 234 (ორასოცდათოტხმეტი) ლარს.

7. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

8. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

9. წინამდებარე შეთანხმება დანართის სახით თან ერთვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2018 წლის 04 აპრილის N75 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია და ხელმოწერილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად. სამივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	შ.პ.ს. „რეზო+"
მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. N25 საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749	მის.: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N3 საიდენტიფიკაციო კოდი: 445395590
----------	----------
აპარატის უფროსი: მაია ხაჯიშვილი	დირექტორი: რეზო ზოსიძე